იცოდით თუ არა, რომ?

აზოტი N

ჰაერის შემადგენლობაში, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ 80%-მდე აზოტია, მაგრამ ეს ელემენტი მცენარის ზრდისთვის არახელსაყრელი ფორმითაა წარმოდგენილი. კულტურების აბსოლუტური უმრავლესობა **მოსავლიანობის პოტენციალის** მისაღწევად საჭიროებს მინერალური **სასუქების** სახით **აზოტის** შეტანას.

აზოტი არის ამინომჟავების აუცილებელი კომპონენტი, რომელიც მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანებში წარმოქმნის ცილებს.

აზოტი არის ნუკლეინის მჟავების - დნმ-ის, გენეტიკური მასალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც გაზრდის და გამრავლების საშუალებას აძლევს უჯრედებს (და მთლიან მცენარეს).

აზოტი წარმოდგენილია საკვებად მოყვანილ ყველა კულტურაში. ის უბრალოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტია მცენარეებისთვის, რადგან ქლოროფილის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და ამით ხელს უწყობს **ფოტოსინთეზს.**



მცენარის ზრდის ტემპი და ცილის შემცველობა პირდაპირ კავშირშია ნიადაგში აზოტის ხელმისაწვდომობასთან.

AGRO FORCE